# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №1356

გაზეთის „ახალი განათლება" ხელმოწერის შესახებ

37

თბილისი 04.01.2012წ

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ შ.პ.ს „ახალი განათლება" მისი დირექტორის მარიკა ჩიქოვანის სახით (შემგომში „მიმწოდებელი") და მეორე მხრივ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ონარიის საჯარო სკოლის დირექტორის ლოვიკო ცვციიანის სახით (შემდგომში – „შემსყიდველი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული გამარტივებული შესყიდვის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის კუთვნილი გამოცემის – გაზეთის „ახალი განათლება" 2012 წლის ხელმოწერის შესყიდვა (შემდგომში – „შესყიდვის ობიექტი").

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 გაზეთ „ახალი განათლების" ერთი ნომრის ღირებულებაა – ერთი ლარი და 30 თეთრი. ხელმოწერის ღირებულება: ერთი წლით 52(ორმოცდათორმეტი) ლარი, 5 თვით – 26(ოცდაექვსი) ლარი.

3.2 საქონლის ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია, დროულად გამოსცეს გაზეთი „ახალი განათლება" და ყოველკვირეულად მიაწოდოს „შემსყიდველს". სააგენტოს საშუალებით, იმ პერიოდში, როდესაც მუშაობს საგანმანათლებლო დაწესებულებები. სულ, წლის განმავლობაში – 40 ნომერი.

4.2 „შემსყიდველი" ვალდებულია, ხელშეკრულების დადებიდან ორი კვირის ვადაში, ჩარიცხოს საბანკო ანგარიშზე ხელმოწერის ღირებულება.

## 5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

## 6. სადავო საკითხთა გადაჭრის პირობები

6.1. ნებისმიერი სახის დავის მოგვარება ხორციელდება: მოლაპარაკების გზით, ან სასამართლოში, ან კერძო არბიტრაჟის მეშვეობით;

## 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 8. ფორს-მაჟორი

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი აქვთ.

„მიმწოდებელი"
შ.პ.ს „ახალი განათლება"
ქ. თბილისი. ტეტელაშვილის ქ. №3
ს/ს „საქართველოს ბანკი"
ა/ა GE 86 BG 0000000 123631000
ს/კ 202058735. ბ/კ BAGAGE22
დირექტორი ჩიქოვანი

„შემსყიდველი"

დირექტორი